საქართველო

26366-01-2-201307021401

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/26366
02/07/2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის
ხელმძღვანელს **ბატონ სერგი კაპანაძეს**
(ქ. თბილისი, რუხაძის ქუჩა N15 ტელ: 577949885)

ბატონო სერგი,

თქვენი 2013 წლის 4 ივნისის N18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საზღვარგარეთ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმირების კუთხით ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არსებობს. ძირითადად სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტების შესახებ ინფორმაციას იღებს ვიზიტის დაწყების შემდეგ ან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს საელჩოებს მიმართავს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების გამართვის შემდგომ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით ჯალაღანია პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში მივლინებულ იყო იტალიის რესპუბლიკასა (15.06.2013 – 18.06.2013) და ეკვადორში (22.05.2013 -27.05.2013).

2013 წლის 14-17 მაისს აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ვიზიტის შესახებ ოფიციალურად ინფორმირებული არ ყოფილა. თუმცა, ვიზიტის დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობდა აშშ-ში საქართველოს საელჩო, ხოლო ქ. ვაშინგტონში ვიზიტის ფარგლებში გამართული ორი ღონისძიებიდან აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი არჩილ გეგეშიძე დაესწრო მხოლოდ ერთს, ამერიკული კონგრესმენებისთვის გამართულ მიღებას, რომელიც აშშ-ში საქართველოს საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული. სხვა შეხვედრებზე, მიუხედავად აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციისადმი გაკეთებული შეთავაზებისა, იგი არ ყოფილა მიწვეული.

პატივისცემით,

გიორგი ხელაია
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge